

ნოქნობი



№ 6.

პვირა 12 აგვისტო 1923 წ.

№ 6.



542

გასწი წინ, ეპროკისაპენ!..

პირველი მფრინავი. პარიზს თავზე უნდა გადაუქროლოთ და აქ საქართველოდან გაქცეულ მენშევიკებს ერთი მკვდარი კატა. თავში დაეხალოთ, ი რალაც „კომუნა“ რომ მოუხუხულებიათ. ის აღარაქანსოვთ, საქართველოში სამი წელიწადი სდევნიდნ კომუნისტებს?! მეორე მფრინავი იქიდან ლონდონში უნდა მოვადინოთ ფხეკა და იქ მისტერ სნოუდენს ერთი ლაყე კვერცი დაეხალოთ იმ ადარაში სოციალიზმის მისტირია“ რომ მოლოჩას და მარქსის თეორიის მიხედვით მენშევიკები უნდა მოკლული იქნებოდნენ.

მეორე მფრინავი იქიდან ლონდონში უნდა მოვადინოთ ფხეკა და იქ მისტერ სნოუდენს ერთი ლაყე კვერცი დაეხალოთ იმ ადარაში სოციალიზმის მისტირია“ რომ მოლოჩას და მარქსის თეორიის მიხედვით მენშევიკები უნდა მოკლული იქნებოდნენ.

წმინდა სავანეში.

დასასრული *)

გაზეთები სწერდენ, რომ მიუხედავად ზამთრის სუსხისა, მათმა უწმინდურობამ,

არქიელმა, გადასწყვიტა წმინდა ნინაობას წირვა-ლოცვა შესრულოს ბოდბის დედათა მონასტრების ტაძარშიო.

ეს ცნობა საკმაო იყო, რომ თბილისიდან მოკიდებული სიღნაღამდე ფეხზე დამდგა-

დარჩენილებმა გზა მშვიდობისა დაულოცეს, მხლებლები ზოგი ცხენებით, ზოგი ეტლებით აედევნენ უკან და გაემართენ კახეთის შოსე გზით სიღნაღისაკენ.


გზა და გზა თავმეყრილ გლეხებისთვის არქიელს ზედაც კი არ შეუხედავს. მისთვის მისართმეგად მომზადებული პურმარილი ისე შერჩათ ხელში მათ და არქიელის ჩარების შემდეგ მამასახლისები და ჩაფრები დანაყრდენ მითი.

არქიელს მთელი გზის განმავლობაში ეტლიდან არც კი გამოუყვია თავი ვარეთ, რადგან ბინდის გაკერის და ხმის წახდნის ეშინოდა. დედათა ტაძარში სტუმრობის დროს კი ეს არ იყო სასურველი, რადგან თავისი მძლავრი ხმით მას მოლოზნების წინაშე თავის გამოჩენა სურდა.

შებინდების დროს არქიელი თავისი ამალით მიუახლოვდა ტაძარს.

ცხენებიც დალილილი იყვნენ, მაგრამ ტაძრისადმი ვითომც მორიდებას მოითხოვდა, რომ ნელი ნაბიჯით და წყნარათ შესულიყვნენ წმინდა სავანის არეში.

არქიელი იქაურ მშვენიერ სანახაობას სიამოვნებით ათვალთვრებდა ეტლის სარკ-




რიყვნენ სასულიერო და საერო მოხელეები. ნინაობის წინა დღით დილიდანვე გამოჰყარეს სოფლებიდან გლეხები, პურ-მარილით ხელში, გზაში არქიელის შესახვედრათ.

ამ დროს, როდესაც გლეხები იდგენ სუსხში და ელოდენ არქიელს, თითონ ის გამგზავრების წინ მდიანად შეექცეოდა ნოყიერ საუზმეს თავის სასახლეში.

მის გასაცილებლად თავი მოეყარათ ქალაქის ყველა წარჩინებულ პირებს, გუბერნატორიდან დაწყებული ქალაქის თავისა და პოლიცემისტერამდი.

როდესაც კარგა გამოძღენ და გამოიბრუენ საეკლესიო ღვინით, არქიელი წამოდგა, აბრეშუმის ანაფორაზე ზემოდან გადაიცვა თბილი შუბა, თავი ყაბალახით შეიხვია და ბინდი რომ არ გაჭკროდა, საჩქაროთ ჩაჯდა დახურულ ეტლში.



მლიდან. ამ დროს მან თვალი მოჰკრა ერთ პატარა შენობის ფანჯარაზე მომდგარ ორ მოლოზანს. ერთი მათგანის სიმშვენიერი არქიელი აღტაცებაში მოვიდა და თვალეები ზედ დარჩა.

ლამაზის გვერდით მდგომარი მეორე მოლოზანი მარტო გამოვიდა ვარეთ და შეუერთდა სხვა მოლოზნებს, რომლებიც ტაძრის კარებში შეეგებენ არქიელს. ეს იუდაი პელაგია, დაპირდა დედა იუვენალის რომ არქიელის აქ ყოფნის დროს ქეთიყუნას საკანში დაუამწყვდევე და არსად გამოვიდეს. მან არამც თუ დაამწყვდია ქეთიყუნი, არამედ მოხერხებულათ დაანახა შორიდან არქიელს, რითაც მოაჯადოვა ის და აღუძრა, ერთი ათად სურვილი ლამაზი მოლოზნის ახლო ხილვისა.



არქიელი თავისი ამალით შევიდა აბანოსავეთ გამთბარ დედა იუვენალიას მოსასვენებელ ოთახებში, სადაც სიცივეში ნამ-

გზავრთათვის მზათ იყო ყოველივე შემხურებელ—საქმელ-სასმელები.



იუვენალია დასტრიალებდა თავს არქიელს და აწვდიდა ერთი მეორეზე უგემრიელეს საქმელებს, მაგრამ მას მაინც კარებისაკენ ეჭირა თვალები იმის მოლოდინში, თუ როდის შემოვა ლამაზი მოლოზანიო, რომელსაც თვალი მოჰკრა წელან ფანჯარასთან. მის მაგიერ დაი პელაგია გადი-შემოდოდა წამდაუწყუმ და ეშმაკური ღიმილით თითქოს ანიშნებდა არქიელს,—ვიცი ვისაც უთვალთვალე, მაგრამ უჩემოთ შენ იმას ვერ იხილავო.

კარგა დანაყრებისა და შეხარხოშების შემდეგ წამოიშალნენ სუფრიდან და გაემართენ ტაძრისაკენ საღამოს ლოცვის შესასრულებლათ.

აქ ბევრი ლამაზი და მახინჯი მოლოზნები იყვნენ, მაგრამ მათ შორის არქიელმა ვერსად შეამჩნია ის, რომლის ნახვასაც აქ ფიქრობდა. ამ გარემოებამ ისე ცუდათ იმოქმედა მასზე, რომ თითქო ხმა იმთავითვე ჩახრენწილი ჰქონებოდა, ისე ხწირავდა. მაგიერში მამა იოსები იყო შეუდარებელი, რომელმაც უკვე იცოდა პელაგიას მიერ მოწყობილი ოინები და რომელიც კარგად ამჩნევდა არქიელის მიერ იუვენალიასადმი უყურადღებობას.

როდესაც ლოცვა გათავდა და მოლოზნები მივიდნენ არქიელთან ხელზე სამთხვევით და აიაზმის საბკურებლათ, პელაგიამ შემოიღოთრია ფეხი და ყველაზე ბოლოს ჩამოიჩინა თავი.

რა წაუბუბუბუტა მას არქიელმა ლოცვა-კურთხევის მაგიერ—არ ვიცი, მხოლოდ ვიცი ის, რომ ვახშმის დროს არქიელი მეტათ ისწრაფოდა და დალილობის მიზნით მოსვენება ეჩქარებოდა.

დედა იუვენალიას გადაკრულ სიტყვებისათვის, თუ არქიელის მოსასვენებელ ოთახიდან როგორ შეიძებოდა მის საწოლში შესვლა—ყურადღებაც არ მიუქცევია მას.

ნახვამშევს, როდესაც ყველა წავიდა—წამოვიდნენ მოსასვენებლათ, პელაგიამ მოხერხებულათ გააყოლა თითოეულ მათგანს მიჩნე-

ული მოლოზნები, ვითომ და ოთახების საჩვენებლათ.

თითონ კი მამა იოსებთან ერთათ ძლივ-ძლივობით მოიყვანეს არქიელის საწოლამდე ატირებული ქათევანი, რომელსაც თან ქალწულობის სირცხვილი და თან შიში ისეთი მიუწოდებელი პიროვნების, როგორც არქიელი იყო მის თვალში, თავზარსა სცემდა.

პელაგიამ შეიყვანა ქათევანი მოუთმენლათ მოლოდინე არქიელთან. იოსები გახა-



შეალო თუ არა არქიელის საწოლის კარები,—ფინთის ნაკრავსავით გამოტრიალდა უკან იუვენალია და გულშეწუხებული ჩაიკეცებოდა დერეფანში, რომ იქვე არ გაჩენილიყო მამა იოსები, რომელმაც მოხვია ხელი და აშვატიებული შეიყვანა საწოლში.

მეორე დღეს იუვენალიამ თავი მოიავათ-მყოფა და აღარ გამოსულა არქიელთან.

მის მაგიერობას პელაგია ეწეოდა,—თითქოს უკვე მიიღო არქიელის მიერ დაპირებული წინამძღოლის თანამდებობაო.

რებული იმით, რომ ქათევანის საშუალებით და პელაგიას დახმარებით ჩამორჩა იუვენალიაზე მისი მეტოქე არქიელი, გახარებული წავიდა თავის ბინაზე. მას არ უნდოდა ეხლავე შესულიყო არქიელის მამლოდინე იუვენალიასთან, რომ ამით არ გაებრაზებია ის და არ წაეხდინა მასთან სამუდამოთ თავისი დამოკიდებულება.

პელაგიამ, ჩაბარა რა არქიელს მშვენიერი ქათევანი, უკანასკნელათ ჩამოართვა სიტყვა, რომ არ დააყოვნებდა იუვენალიას სხვაგან გადაყვანას, მის ადგილას წინამძღრათ მისი, პელაგიას, დანიშნავს, რის შემდეგაც ქათევანი უფროსი მოლოზანი გახდებოდა და შეეძლებოდა თბილისში არქიელთან ხშირათ ჩასვლა.

არქიელმა დაჰპირდა პელაგიას ყოველივე მისი სურვილების შესრულებას მით უფრო სასწრაფოთ, რაც ჩქარა დაანებებდა ეხლა თავს ის მას და არ შეუშლიდა ხელს ქათევანთან აღერსში.

პელაგიას გასვლის შემდეგ ვნებით ატაცებულ არქიელს კარების ჩაკეტვა და ლამზის ჩაქრობაც კი დაავიწყდა...

იუვენალია თავის საწოლში მოუთმენლად ელოდა—აგერ გაიღება კარები და შემოვა არქიელიო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როდესაც მოთმინება დაჰკარგა, იფიქრა, იქნება ვერ გაიგო ჩემი ნანიშნები გზა და ვერ მოაგნო ოთახი, წამოდგა ხეთ, ვაკყო ფოსტლებში ფეხები და თავშალში გახვეულმა თითონ გასწია არქიელის ოთახისაკენ.

ამის შემდეგ მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ იუვენალია სადღაც გადააწესეს სხვა ტაძარში, წინამძღვრათ პელაგია დაინიშნა, ხოლო პელაგიას ადგილას—მშვენიერი ქათევანი.

იუვენალიას გადაყვანით მამა იოსები დაქვრივდა, მაგრამ მისი ქვრიობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან პელაგია წინამძღვრობაში ისე გაითქვია, რომ იუვენალიას აღარც კი ჩამოუვარდებოდა.



ა. ქუთ.

ერთ მშვენიერ შემოდგომის დილას თი-
თქმის ყველა სიღნაღელ უშვილო მოქალა-
ქეებს გაუჩნდათ შვილები, რომელსაც ისი-

ნი პოულობდნ თავიანთ სახლის კარებში
ტაძრის სახელოსნოში დაწნილ კალათებში
ჩაწოლილს.

ბ. თ-ია.

„ლომინადორა-დორი“.

არის ქალაქი ერთი,
სახელად „ოზურგეთი“,
ცნობილი წყლით და გორით,
შემდეგ „რადიო ქორით“,
ქალთა ლამაზი სქესით,
ბევრ თავისებურ წესით;
ილიუსტრაციად კმარა
ამ მაგალითის ხმარა:
ამ სწავლა-აღზრდის საქმე...
(გიჯობს, ენაჲ, რომ განმე
და არ ახსენო ცუდად!
მრუდი, დე, დარჩეს მრუდად:
და გასწორება კუზის
კუზიანს ძვირად უზის!..)
ამბობენ, რომა აქა
ამ „საქმეს“ აზის „ლაქა“.
გვეგონა იყო „ბერვა“
და რომ დაუწყეთ ზვერვა,
ქალაქი „დაბლა“ ვნახეთ,
გრძელ „ელეღესი“*) სახეთ:
იქით და აქეთ გორი,
შვაში—დაბლობი, სწორი,
ყოველგან ქორი... ქორი...
და „სწორუპოვართ“ სწორი,
ყრმათა მწვრთნელობის ჯორი,
„ლომინადორა-დორი“,
ვითა ტორეადორი,
ზის და განაგებს რქმულად,
თუჲც ცოტა დრომოკმულად:
ფულებს არ იკლებს ფულად
და ენა მოთაულებულად
მაინც ახლურად ახლობს:
„თუთხმეტ ადგილზე სახლობს“,
გამგეობს მხოლოდ ორზე:
აქეთ და იქით გორზე,
სასწორობს „მყარ სასწორზე“,

როგორც დავითა-ჯორზე!..
ცამეტ ადგილას იღწვის,
შრომის ტაძარზე იწვის,
თავდადებულად „მამლობს“,
თუმცა „დედღურად“ კვამლობს,
მით არეს სულსა ჰხუთავს
და, როგორც კრუხი, ჰკუთავს:
„გულო, გულო და გულო!..“
ვაი, წყალ-წაღებულო,
სოველ-ქალაქო, დაბავ!..
იქნებ გვიშველო, დამბავ,
შენ, აგებულო უჩხობს!..
აღმასკომს ჰხამს და უჯობს—
წინ-წინ მიხედოს იმას.
თორემ კოკისპირ წვიმას
თან მოსდევს ნიაღვარი,
ჩვენი სახლი და კარი
მისგან რომ ნახავს ზიანს,
ეს აზრი აღამიანს
ავალებს—იყოს ფრთხილად,
თორემ, ვინც უზნობს ტკბილად,
არ უნდა რაცხოთ თავფლად:
ზოგჯერ მყვარზედაც დაბლად
დაცოცავს კაცად ქმნილი,
გამორთულ-გამოქნილი,
არს ნათელშიც მპარავი...
აქვს სავაჭრო კარავი
სახელზე ძმის, ან დისა,
რადგან თავი აქვს ცლისა,**)
ექსპერიმენტებს ახდენს:
ერთ „ადგილს“ რომ წვეს ადენს,
მეორე „ადგილს“ მით რწყავს
და „მოსავალიც“ მიჰყავს...
აქვს პრაქტიკული ტაქტი,
გამავრებული ტახტი,
ჰყავს იმა ტახტის მცველად,

*) ახალ ეკონომპოლიტიკის ვითარებაში.
ავტორი.

ვის ცხვირიც საბერველად
ულეველ ლორწოს ბინად
მორთვია „საპიტინად!..“
არც თვით აკლია წვირი:
ბახმაროს უწევს ცხვირი
და ტფილისსა სცემს კული,
ან აქ რა არის ცული?
„თუ კაცს არა აქვს „ხერხი“,
საჩუქრად—ტურის ფეხი!..“

ონისიმე.

„კულტ-შეფობა“.

(ნარკომ-ფინს).

ნარკომ-ფინის კომ-უჯრედსა
კულტ-შეფობა დაეკისრა,
(რომ—კავშირი განამტკიცონ,
ლექციები წაეკითხათ).

გაემგზავრენ ახალ ქალაქს
(გამოიცანთ რომელია?)
თემი არის გორის მაზრის
და სადაჩო სოფელია.

ჩამობრძანდნენ ეტლებითა,
ვით შეშვენიის ნარკომ-ფინსა.
(იჯირითეთ, რამდენიც გსურთ,
გატენილი თუ გაქვთ ქისა).

დაარიგეს მოწოდება;
პლაკატები, მრავალ გვარი,
შეაერთეს ოღრო-ჩოღროთ
მოწყობილი მთა და ბარი.

წუნი დასდევს გორის მაზრას,
რომ სოფელი ქალაქს არ გავს,
კითხვის ნაცვლად ჩვენი გლეხი,
ხენა-თესვაში დროსა კარგავს.

და შეპირდნენ: ამ შეცდომას
გავასწორებთ ჩვენ სხვა გზითო,
ჩვენს რწმუნებულს გამოგზავნიით
სამუშაოთ ხუთ-ექვს დღითო.

გაახარეს სოფელები,
გულს იმედი ჩაუსახეს
და შემდეგი სამუშაოს,
გეზი უცბად გამოიხანეს.

მადლიერმა აღმასკომმა
მათ სადილი გაუმართა
და დამსწრე ნიკო სრესელი
აირჩია თამადათა.

ბევრი სიტყვა დაიხარჯა
და გათავდა ყველა მითა,
შემოსძახეს „ჩვენი ჰიმნი“,
ფეხზე დგომით, წვრილი ხმითა.

რალა ბევრი გავაგრძელოთ;
მადრიელი დარჩა ხალხი,
თუმცა ცული დარი იდგა:
წვიმა იყო და ტალახი!..

და მასუკან არავინ სჩანს,
თუმც თემკომი მოუხმობსა.
ნეტავი, ვინ გადაუხდის
სადილის ფულს აღმასკომსა?



აბარაპ განმაროუი.

„ოზურგეთიდან—ბახმაროს მიედივარ, ვეძებ საქმაროს.“

ასე ღიღინებს გურული გასათხოვარი ქალი, ბახმაროსკენ გამგზავრების წინ. რა თქმუნდა, ასეთ ძნელ საქმეს, როგორცაა ქალის გათხოვება, მარტო ლექსი ვერას უშვლის. ვერ უშველის ვერც ბახმაროს ნაძე-ფიჭვანარი, თავისი ნისლით და ინტიმიური კუნჭულებით, ვერც მთელი სეზონის განმავლობაში თავაშვებული ხუნტრუცი და პიკანტური ცხოვრება, და უმეტესობა, საქმაროს ნაცვლად, „სახმაროობასაც“ კი ვერ გამოირდება, ისე ბრუნდება სახლში.

მიუხედავად ამისა, ბახმარო მაინც კარგია, როგორც აგარაკი, ამას არუნდა ბევრი ლაპარაკი.

თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობია, არა მარტო გასათხოვარი ქალები, არამედ მოაგარაკეთა დიდი უმეტესობაც სწორედ სასერიოდ და გასართობათ უფრო მიდის ბახმაროზე ვიდრე დაღლილ-დაქანცულობის გასაფანტავათ და წამხდარი სიჯანსაღის გამოსასწორებლათ.

რას იზამთ?

გურულ ხალხს რაცა სჭირს, უმეტესად, წაბაძულობითა სჭირს. ცხოვრებაზე ის უფრო მჩატე, ალქატი შეხედულებისაა. არის მოაგარაკეთა მთელი რიგი, რომელთაც სახლიდან ამოაქვთ ყოველგვარი სანოვაგე, ბინაც საკუთარი აქვთ, ყველაფერს თითონვე ამზადებენ და შედარებით იოლად გადიან. სწორეთ ამით აიხსნება, რომ დადგება თუ არა ზაფხული, იშვიათ გურულ ოჯახში არ ისმის „ლაპარაკი ბახმაროზე“. ბახმარობა, ანუ „მთობა“, როგორც აქ ამბობენ, გურულების სასეზონო მუსაიდის საგანია.

ჯერ კიდევ ივნისი იყო, როცა ასტყდა სოფელ ქალაქებში ერთი ფაცი-ფუცი და სუყველამ ცხვირი ბახმაროსკენ მიიშვირა. საამო სანახაობას წარმოადგენდა ბახმაროსკენ ამდინარებულ ხალხისა და ცხოველების გრძელ-გრძელი ქარავნები.

რაიმე სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ წასვლა რომ ერთობ „სარისკო“ საქმეა, ეს მე მენშევიკების მაგალითზე მაქვს მშვენიერად შესწავლილი. ამასვე ნათლად მოწმობს ცნობილი ლეგენდა, თუ ანეკდოტი ცნობილ მოლა-მასრადინაზე, რომელმაც ჯერ თვით ხელოვნურად გამოიწვია ხალხის მოძრაობა საოცნებო ფლავისაკენ, რომელიც მოლამ თითონვე მოსჭორა, ხოლო შემდეგ, როცა ხალხის მოძრაობამ მიიღო პირდაპირ სტიქიური ხასიათი, მოლასაც თავისი ჭორი მართლად მოეჩვენა, კოვზს ხელი დაავლო და თითქმის ყველას წინ გაუსწრო, რათა ფლავი სხვაზე მეტი მას რგებოდა: „ვინ იცის, ფლავს იქნებ, მართლაც არიგებენო“.

ყველა რომ ბახმაროსკენ გამგზავრა და სოფელ-ქალაქი დაცალიერდა, მეც აღმეძრა სურვილი ბახმაროსკენ ლტოლვისა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ რესპუბლიკის ფინკომისაგან საატიკად მქონდა დავალე-

ბული ზედმეტი ხარჯებისაგან თავის შეკავება. ამიტომ ისეთ დროს უნდა გავპარულიყავ, რომ თავალი ჩემთვის არავის შეესწრო და შესაფერი ზომების მიღებით განზრახული მგზავრობა არ ჩაეშალა.

ამ მოსაზრებათა ძალით, ოზურგეთიდან ერთ მშვენიერ ღამეს, უკაცრავად, ღამე მართლაც მშვენიერი იყო დასაწყისში, ძილად დაწოლის წინ, მაგრამ შემდეგ როცა შუალამის გადასულს ჩავლადრებმა, ანუ როგორც გურიაში იტყვიან: „ჩალანდრებმა“ ჩვენ გვერდებში მუჯლუგუნები ჩაგვცხო, ლოგინებიდან წამოგვავდო და ცხენებზე შეგვსხა, ჩვენ დარცხვენისებოვით, უფრო კი—ძილისაგან თავდამძიმებულები, სულ ქვეშ-ქვეშ ვიცქირებოდით და ღამისთვის, რომლის სიავ-კარგე უფრო ციოთ იზომება, ვიდრე მიწით, არც კი შეგვიხედნია. მხოლოდ ვაკიჯვარში მისვლის ხანს შევნიშნეთ, რომ ღამე, ე. ი., ცა არა ხუმრობდა. ჯვარი საზოგადოთ ტანჯვის სიმბოლო და ემბლე-

მა და „ვაკი ჯვარმაც“ ეს მშვენიერად დავიმტკიცა.

შევუდექით ეგრედ წოდებულ „საბა-ყოს“ აღმართს. ძველად აქ მთაზე მიმავალ მწყემსებს ბაქს ახდევინებდენ ფულით, თუ ნატურით. ჩვენც დავგადო ამ აღმართა ბაქი, მხოლოდ არა ნატურით, არამედ ცილ-დან „ნაწურით“ და ისე გაგვწუწა, როგორც ყვავები შემოდგომაზე. გზა მოლიპული იყო და ჩვენი ცხენები თითო ნაბიჯს რომ წინ წარსდგამდენ, ორ-ორ სამ-სამ ნაბიჯს უკან მიიჩხავდენ, ასე რომ რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენ ისევ ოზურგეთში ამოყოფდით თავებს, რომ უცბათ „ქვევითიზაცია“ არ მოგვეხდინა, რამაც მიუხედავად თავისი პარადოქსალური სახელწოდებისა, ქვეით-ქვევით ჩოჩვის ნაცვლად, უცბათ მიმართულება შეგვიცვალა და ჩვენც ზევით-ზევით ვიწყეთ წარმატებით სვლა. უკეთ რომა ვსთქვათ, ახლა ჩვენ ჩვენს ცხენებს მივათრევდით აღმა. რას იზამთ?



ბ. ქუთათაძე

თუ სწორ გზაზე ძალაუნებურად ისინი ჩვენ მოგვათრევდენ, აღმართ გზაზე და ისიც მოლიპულზე ახლა ჩვენ იმათ მივათრევდით. „სესხი გადახდით არისო“ ამბობს ხალხური სიბრძნე და მასვე ემოწმება სოლომონ სულმნათიც.

„საბაყოს“ რომ გავსცდით, თავები შევრგეთ ეგრედ წოდებულ „წითელ ღარებში“.

ცოტა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ უნდა განვმარტო, თუ რისთვის ვლაპარაკობ მრავლობითი რიცხვით და არა მხოლოდობითი. საზოგადოთ მთის გზაზე მხოლოდობითი რიცხვით მოგზაურობა ძალიან საფრთხილო საქმეა სხვა და სხვა მრსაზრე-

ბით, რომელთაც ბევრი მოსაზრებაც კი არ ეჭირვება, ვინაიდან ისინი, როგორც საშინელი დაბრკოლებანი მგზავს მუდამ წინ ხედებიან, თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე.

მეორეც, მე მთისკენ მივემგზავრებოდი სავსებათ „მწყემსი კეთილის“ მდგომარეობაში მყოფი, რომელიც მივერეკებოდი მთისკენ საკუთარ ნახირს, ისე „ოჯახური“ ჯიშისას. უფრო სწორედ რომა ვსთქვათ, ეს „ნახირი“ თვითონ მე მიმარეკინებდა თავს მთისკენ, რადგან იქ მას უჩემოდ „საძოვარს“ არავინ მისცემდა.

სად გნებავთ რომ „წითელი ღარი“ საფრთხილო და სახიფათო არ იყვეს, მაგ-



რამ ის, რაც ჩვენ აქ, ამ „წითელ ლარებში“ გადაგვხდა, აღარ აიწერება. ხანგრძლივ ავდარსა და უფრო კი ლარებში ხშირს, თითქმის განუწყვეტელს მოძრაობას, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ეს ასე არა ხდება, „ლარები“ ისე დაეღრმავ-დაევიწროებინა, რომ ჩვენ საკუთარს ფეხებით, ფერდებით და ბარძაყებით გვიხდებოდა ლართა ორწოხის ფართოვება. მე ცხენზე ხურჯინი მეკრა, რომლის ორივე თვალი, სხვა და სხვა ნივთებით გატანილი ისე შემომცვეთოდა ამ ლარების ფერდებზე ქლესვაში, რომ არც კი შემიმჩნევია. ხურჯინის შუა წელი-და შერჩა უნაგირზე მიკრული და ის იქიდან საცოდავად ხელ-ფეხ-ამბუტაცია ქმნილსავით გამოიყურებოდა. დიდის ჭაპანწყვეტის გატანის შემდეგ ჩვენ, მხედრები და ცხენები, როგორც იქნა ხელმეორედ დავიბადენით ამ ჩვენთვის უსიამოვნო საზოდგან. ლარებს გავცდით. მაგრამ ჩვენი ბარგით დატვირთული ცხენი კი ისე ოხრად გახიროლიყო ლარის ერთს ვიწრობაში, რომ მის იქიდან დასახსნელად აუცილებელი გახდა. ამ „ხაბაკის“ საფეხებით მსხვერპლად მიტანა. მთელი ამ გაწამაწის დროს წვიმა ისევე გვიწყობდა ხელს, როგორც მონადირეთაგან გაქცეულ მელას— მისი ბონძვერა კული.

ეგრედ წოდებულ „თხემლნარაზე“ შევდექით შესასვენებლად და დასანაყრებლად შევედით იქაურს ერთად-ერთ ღუქანში. მე-ღუქანე შევიდა ჩვენს მდგომირობაში და ჩვენთვის ტვირთის შემსუბუქების მიზნით

მოინდომა ჩემი ისედაც მჩატე ჯიბის სრულიად განტვირთვა. ამოდ უმტკიცე მას, რომ იქ მდებარე შედარებით მჩატე ტვირთი ორმოცი სადილისა, ორმოცი ვაზშმისა და ამდენივე საუზმისათვის არის გამოანგარიშებული-მეთქმი. მან ეს აინუნშიაც კი არ მიიღო და ფულსთვის გამოშვებული ხელი მანამ არ დასწია, სანამ ჩემს ჯიბეს სრული ვინტილიაცია არ გააუკეთა. „ორმოცი სადილისაგან ერთსაც კი ვეღარ ეღირსოთ იქნება, თუ მე ისე და იმდენად არ შეგამსუბუქე, როგორც ეს მე მინდაო“, ავტორიტეტულად იუჩინებდა მეღუქანე, სრულის შეგნებათ, რომ მას ამ შემთხვევაში აქ არავინ მოცილე და მოქიშვე არა ჰყავდა თავიანთ ავტორიტეტულ აზრსა და ქცევაში.

გამოვედით ღუქნიდან და შევუდექით გზას „მეშვიდე ცისაკენ“. აესცდით „წიფნარას“, „წიფლის წყაროს“, სიზნარას“ და „სომლიაზე“ ამოვისუნთქეთ ოდნავ მსუბუქად, ვინაიდან აქიდან უკვე გზა ბახმაროსაკენ შედარებით კეთილობდა. მაგრამ თვით სომლიაზე კი მის რამდენიმე ღუქანში ისე ლამაზად, თითქმის ქალაქურის მოხდენილობით ელაგა მაწონი, ყველი, ერბო თუ სხვა რამ ჩვენთვის მეტად საჭირო სანოვაგე, რომ თხემლნარაზე გაძარცვულ სიმძიმემ ჩვენში, განსაკუთრებით ბავშვებსა და ჩავლადრებში, გამოუთქმელი სინანული და მწუხარება გამოიწვია და თვითეული ჩვენგანი უსაზღვრო ზიზღს უთვლიდა მონოპოლისტ თხემლნარელ მეკობრეს. (მართალია კობრი ჩვენთვის მეღუქანეს არ მოუერთმევეია, მაგრამ რალაც საეჭვო ღირსებისა და რაობის თევზი კი ჩავვასუსნინა.)

ვინანეთ ეს დანაკლისი, მაგრამ „წამხლარსა საქმეს რას არგებს ბოლოს-ლა თითზე კბენანი“.





სამაგიეროდ ცამ კი აღარ მოგვაკლო თავისი მადლიანი ყურადღება და უხვი ხელი. სომლიდგან მოყოლებული ბახმაროდ გვასხა და გვასხა კინკრისოში. ასე საცოდაოდ ამოწუმპულები, სიცივისაგან კბილების ცემით ატეხილი მარშით, შევედით ბახმაროში, როგორც უჩვეულო ურდო. აქედ-იქიდან ნაცნობები შემოგვეხვია და

დაგვყარეს სხვა და სხვა კითხვები: როგორ ვიმგზავრეთ, თუმცა თავადაც მშვენიერად ხედავდნენ ამას. ბინა გვაქვს, თუ არა და სხ. ყველა ეს შეკითხვები და შემკითხველების ცნობის მოყვარეობით ანთებული თვალები ჩვენ ისევ წყალს ჭვასხამდა. თავზე, მაგრამ ახლა კიდევ უფრო ცივს.

რითაც ართობდა ცნობის მოყვარე საზოგადოებას, რომელიც ისეა მოწყურებული ყოველგვარ გასართობს, როგორც ოზურგეთელი ქალი და კაცი-ჭორს, თუმცა გასართობათ თეატრებში კი იშვიათად შეიხედავს.

ასევე და არა ნაკლებ მოწყურებულნი არიან, მიუხედავად წყურვილის შემწელებელ ცივ წყაროების სიმრავლისა ბახმაროში, წელს ეგრედ წოდებულ „გადამზადებელ“ კურსებზე დამსწრე სოფლის მასწავლებლები რომელიმე საგანში „მომზადებელს“ რიგიანს ლექტორებს, თუმცა, უკაცრავათ პასუხია, ლექტორების მეტი რა არის ამ კურსებზე, მაგრამ ესენი ყველანი „გადამზადებელნი“ არიან და ჩვენ კი „მომზადებლებზე“ მოგახსენებთ.

მკითხველი გაიოცებს, რატომ საგარაკო ცხოვრების სხვა მხარეებსაც არ მივაქციეთ ჩვენ ყურადღება თავის მოხსენებაში. არის საპატიო მიზეზი. სახელდობრ ისა, რომ სხვა მხარეები იწყება, როცა სრულდება პირველი და უალრესი, ე. ი., ბინის საკითხი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ ზომ ჩახლართულ-ჩაკვანძული და იმავე დროს ქალის თმებში ჩაწულ-ჩაგრებილი აღმოჩნდა, რომ იმისი გახსნა და ჯეროვანად გადაწყვეტა შესაძლებელია შემდეგ ნაირად: ორმოცდა სამი პროცენტისა — თვით აგარაკზე, ორმოცდა ექვს პროცენტ — ნახევარისა — სახალხო სასამართლოებში, ხოლო დანარჩენი ნახევარ პროცენტისა — ეგრედ წოდებულ საკურორტო სამმართველოში, რომლის უმაღლესი ინსტანცია, ჩვენის ფიქრით, მოსკოვში უნდა იყოს. ამ რიგად ვინაიდან ეს პროცედურა, შესაძლოა, გავრძელდეს დაახლოებით ათი წელი, ამიტომ აგარაკის ცხოვრების დანარჩენ მხარეებსაც ჩვენ შევეხებით მხოლოდ ამის შემდეგ და



იმ ღამეს დიდის ვაიუშველებელით დავვითმეს ბინა თეატრის შენობის ქვეშ. ჩვენი ბარგი ფუჭიჩივით მივფანტ-მივფანტეთ და გოჭებავით ზედ მივეყარეთ. სიცივე, სისველე და უსუფთაობა იწვევდა ჩვენს ტანჯულს მოუსვენრობას და ძილს არ გვაკარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დაბევილი სხეულები ძილსა და მოსვენებას დიდათ საჭიროებდა.

ჩვენი ტანჯვა ამ ერთი ღამით დასრულდებოდა გვეგონა, მაგრამ ათიოდე დღე კიდევ ამ ყოფაში გავატარეთ, სანამ ეგრედ წოდებული „საბინკომი“ მივივიჩინა რაიმე ბინას. ბინები იყო. ათიოდე ოთახი სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში ითვლებოდა მოაგარაკეთა განსაზღვრული კატეგორიისათვის, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენც ვეკუთვნოდით, მაგრამ ეს ათი ოთახი „საბინ კომს“ თავის წევრთა შორის გაენაწილებინა, რითაც დაეწყო და დაემთავრებინა კიდევ თავისი დიდათ საპასუხისმგებლო და ნაყოფიერი მოღვაწეობა. ამისთვის მე, როგორც ნიანგის რწმუნებული, ვუსჯი მათ თითო მკვდარი ნიანგის კბილს მკერდზე დასაკიდებლათ და სატარებლათ, ზედ წარწერით: „თავისი თავის უმაგალითო ერთგულებისათვის“.

მიუხედავად „საბინკომის“ მიერ საქმის ასეთი მოგვარებისა, ბინის საკითხი მაინც არ დასრულებულა და ეხლა საბინაო კომისიის წევრთა ცოლებს შეჰქონდათ მასში შესაფერი კორექტივები.

ერთი ასეთი ინციდენტი გაიმართა ორ მშვენიერ არსებათა შორის, რომელთაგან ერთსა რქმევია პაშა და მეორეს ოლია, „ორივე მაზრაში ცნობილ დიდ გვამთა ცოლია“-ო, ამბობდნენ ენები. ერთ მშვენიერ დღეს, ერთი მშვენიერი ოთახის, ანუ ბინის წინ, რომელიც თურმე ერთ ამ მანდილო-


სანთაგანის ქმარს თავისთვის მიეთვისებინა, ხოლო ვინაიდან ამ მანდილოსანის ქმარს მეორე მანდილოსანის ქმარი არაფრით ჩამოუვარდებოდა, პირიქით, პოლიტიკურ და პოლიტიკო-ეკონომიურ-ფინანსო-ფინაჩურ მდგომარეობით პირველს კიდევ სჭარიობდა, ამიტომ სრულიად მუნებრივი იყო, როცა მეორე მანდილოსანმა პირველს მოსთხოვა ბინის დაცლა. პირველი რომ გაჯიუტდა, მეორემ უფრო ახლოს მიიწია, იმანაც მოიწია, მიწვე-მოწვევას მოჰყვა ხელები თმებში, თმების ქილვას — ცხვირ-პირის ამოკაწვრა, ამ უკანასკნელს წივილ-კივილი, წი-



ვილ-კივილს ირგვლივ — სიცილ-ხარხარი და გაიმართა ცნობილ „მერცხლისა და ჭიჭვის ომი“.

ეს ამბავი შემდეგ დიდხანს დადიოდა ბახმაროში ტიტველი ფეხებითა და სხეულით,

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, წამოყენებულ იქნება ეგრედ წოდებული „ნისლის“ საკითხი.



ნიანგი — თავუნას:

„საკუთარი კუდით შემოვიხაზავთ ტერიტორია და ასე გამიჯნებულხართ დანარჩენ მსოფლიოსაგან. გეტყობათ, თავსაც ხალვათად გრძნობთ. პატივს ვსცემთ რა თქვენს კბილებს, ვფიცავთ საკუთარი კბილების მზეს, რომ მყუდროებას არ დაგირღვევთ. მაგრამ ვაი, თუ თქვენ პირველმა დაარღვიეთ ეს უაზრო ნეიტრალიტეტი და საზღვარი გადმოლახეთ! ჩემი მტერი ჩავარდა ნიანგის ყებბში“.

ნადრევი გამოთხოვება.

ამა წლის აპრილში პოეტმა გრიგოლ რობაქიძემ, საზღვარ-გარედ გამგზავრების წინ, გამართა გამოსათხოვარი საღამო, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო დღესაც თბილისშია. ამბობენ მატარებელმა გასწროვო.

იყო აფიშები:
გრიგოლი მიდის,
და გამოსათხოვარს
საღამოს იხდის.
გავარდა ამბავი.
ფრენაში ედრებოდა გრიგოლს.
ყველამ ჩააქნია თავი:
— აწ ვეღარ ვიხილავეთ გრიგოლს...
ვერც მარტოს,
(რად გეტოვებს, რატომ?)..
ვერც ერთად
ორდენის ძმებთან...
ვერც ენახავთ
მის ამაყურ სახეს,
რომ ხიბლავს მნახველს...
რომაულ ცხვირს, ასე მრულს,
და სვანურ ქუდს...
...და ეცნენ კასას...
არავინ იშურებდა არას...
და გრიგოლით ნანატრი
გაივსო თეატრი...
და როცა განწირულს,
სატრფოს ლამაზს,
ეტყოდა თამაზ:
— ნუ მიხვალ, ლონდა!..
და განაწამები სიყვარულს იგლოვდა,
და უკანასკნელი მიიღო კოცნა...
და კოტემ როცა,
კიბეებით მზისკენ
„ისროლა“ ლონდა,



ლოლში მებოგრული გამოხუმრება.

ნიანგი — ლოლში თავის გვერდში მღვთვამ ახსანაბს:

ყმაწვილო, საათი არ დავარდეს, თორემ პრემიით გასაცემი აღარა დაგრჩებათ! არა შვილოსან, „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველიდეს; და... წიხლის მოქნევის შნოცა ჰქონდეს.“

ყველას გულში ქონდა,
და ამბობდა კვდომით:
— გრიგოლ მშვიდობით!..
ჩამოგვიტანე უქეთესი
აზრები, ლექსი,
და რითმა...
და როცა დავითმა
მაგრად გადაკოცნა,
(სიყვარულის ემბლემა)
და ევროპისკენ სიტყვა გაატანა,
რომ დარჩენილებს წასულებმა
ნიშანი არ გვიგონ,

ყველამ სთქვა გულში:
— მშვიდობით გრიგოლ!..
ეს იყო თითქოს გუშინ.
მას შემდეგ სამი თვით
დაბერდა თბილისი.
გადირეკა მისი, იენისი, იელისი,
და ეხლა ქარივით
არ ჰქრიათ ფიქრები პარიზს,
მაგარია სიყვარულის რგოლი,
და დღესაც აქ არის
ღიადი გრიგოლი.

თავივე დაშვება ონისიგანი.



სენა პი-ზანში (ნამდვილისებური).

წყვილიდგან ერთი: ვინა ხართ თქვენ და რას მოგვჩერებთ ხართ ასე დაეინებით?

კენტად მჯდომი (აუღელვებლათ) თქვენ თითონ ვინა ბრძნდებით, რომ ლამის გადაგველაპოთ?! გეტყობათ ავიატორი, უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ასე გულზვიადობთ. ალბათ მთელი ჰაერი თქვენ დაგიპყრიათ, რომ აღამიანს შიგ თავისუფლად გახედვასაც კი უკრძალავთ.



შოთა რუსთაველის პროსკეპტზე.

მილიციელი—მეურმეს: შე ვირის თავო, შენა, სად მოაღოლიალებ მაგ ურემს: ვერა ხედავ აქ მოსეირნე პატოსან საზოგადოებასა?!.

მეურმე: უკაცრაოდა ვარ, ცოტა ცუდ გუნებაზედ გახლდით, სულ ქვეშ-ქვეშ ვიციკირებოდი: ოღრო-ჩოღრო გზას არსად წავაწყდე თქვა და მოსეირნე ხალხს როდი დავკვირებოვარ!..

(აგარაკ ბახმაროდგან--ვაკიჯვრამდე)

ბახმაროდგან რომ დავეშვი,
ვით ნიანგის ბასრი ეშვი,
გადმოვედი ბაისურა,
ალმასი რომ ცამ მასხურა,
ზედ მაყრიდა ბრილიანტებს
და შორით ზთათ გირლიანდებს
მკერდს ეწვინდა რუხვი ნისლი,
ღრუბელიც, ვით ნისლის ქვისლი,
ნისლის ძმა, თუ მეგობარი,
როგორც ტყვიის ნიაღვარი,
ცას ჰფარავდა ნელის დენით,
ხან აქოჩრილ სწრაფი ფრენით,
ვით დემონი, მიმოჰქროდა,
თვალეზიდგან ცეცხლს ისროდა
და მთებში, მთის გრეხილებში,
ორწოხებში, ტეხილებში,
მთის ფხებსა, თუ უბეებში,
მთის ნაკადთა გუბეებში
იგი ისე ხარხარებდა,
რომ ქვეშ მიწაც ზანზარებდა!..
მე ვიჯექი ლურჯა ცხენზე
და ფიქრების მქვარტლი „სხვენზე“,
აკიდული შავ მტევენებათ,
ცის რისხვათ და ქვეყნის ვენებათ,
გოგრას ისე ამძიმებდა,
რომ ეს იგრძნეს კიმიმებმა,
მოიხარა მხარი, ბეჭი,
ხერხემალიც, როგორ დვლეჭი,
ისე რიგათ მოიკეცა,
აწვებოდა თითქოს ზეცა!..
მივიკუნტე, როგორც ზღარბი,
და ჩემს ცხენზე ისე დავლობი,
გავხდი, როგორც თალათინი,
და ამიტყდა რა ლილინი,
ვით კაცს, მკაცრად განაცეებს,
მოვსერავდი ასე მთიებს...
ჯერ „სომლია“, კვლავ--სიპნარი“,
„წიფლის წყარო“ და „წიფლნარი“,
და დავშორდი რა თხემლნარებს,
დავეკიდე „წითელ ღარებს“...
მოდის ცხენი, მოლახლახებს
და ფეხებით ქვებს, ტალახებს
მაყრის ტანზე, თავზე, პირზე,
ზოგს-შუბლსა და ზოგსაც-ცხვირზე
გააქეთ ტყაპა-თლახა-თლუხი,
ამომავლო, ვით ჯანჯუხი,
და „საბაჟო“ დამატარა,
მაგრამ ესეც არ მაკმარა,
ნახა სადღაც მოლიბული
და იჯერა ჩემზე გული:
აისხლიტა განგებ ფეხი
და მე, ძირს გადმონაჩეხი,
დავეშვი, ვით თოვლის გუნდა,
მთით ერთხელ თუ გადმობრუნდა,
მოჰქრის შემდეგ კოტრიალით,
და მეც სხლეტით და ტრიალით
წამოვედი თავპირ მტერვეით,
და მოვცურავ ქვევით... ქვევით...
ვერ მოვიდგი ვერსად ფეხი.
ეს ცოტაა. მომდევს კეხი,
მომდევს ცხენი, დანასხლეტი,
მომდევს ქვა და მომდევს კეტი,

მომდევს თითონ ჩავლადარი,
და მითიდგანაც ნიაღვარი
ყველას ერთად ისე გვეფოცხავს,
რომ მნახველთ სიცილით ჰხოცავს,
და მთებზე რომ ნისლი ცოცავს,
ცხვირს იწმენდს და ჩვენ გვახოცავს,

თითქოს ჩვენზე „ხოჩიტ ჩიხათ!“..
ქვეშიდგან კი ჩვენთვის ჩიხათ
გადაშლილა „ვაკიჯვარი“:
სდნება მთა და დგება ბარი!
მეც ქლოს-ქლოსით ჩამოვეფვი,
და ნიანგის რომ ვარ ეფვი,

პითხვა-პასუხი.

შეკითხვა პირველი:

ბორჯომის ხეობაში ადგილობრივი მკვიდრნი მისდევენ მესაქონლეობას. მათი ინტერესები მოითხოვდა მცოდნე ბეითლების ხელმძღვანელობას. სამწუხაროთ, წინეთ აღმასკომმა ეს ვერ შეძლო. ამ ბოლო დროს აღმასკომმა თავისი ორი წევრის საშვალეობით მიზანს მიადწია. ბეითლობის კარგად შესწავლისათვის, მათ პირველი ცდა მოახდინეს აღმასკომის ძროხაზე, რომელსაც უანგინი დანით სისხლი გაუღეს. ამ გამოცდამ „ჩინებულად“ ჩაიარა, ვინაიდან ძროხა რამოდენიმე საათის შემდეგ მთლად განიკურნა და არავითარ ტკივილებს აღარ გრძობს. ამ ახალმა აღმოჩენამ ადგილობრივ წრეებში აღშფოთება გამოიწვია. როგორც ვაგს, აღმასკომი არ ფიქრობს მეცნიერთა დაჯილდოებას, შეიძლება არ იცის, თუ რომელი სახით მისცეს ჯილდო. ამისათვის მოგმართავთ თქვენ, რათა განსაზღვროთ, თუ რომელი ხარისხის დიპლომი ეკუთვნისთ ზემოაღნიშნული აღმოჩენისათვის.

მოუსვენარი.

ნიანგის პასუხი:

აღმასკომის ორივე წევრს მიესაჯა „განკურნებულ“ ძროხის ხორცგამშპარი ბეჭები თითოს თითო გულზე დასაკიდათ და სატარებლათ ზედ შემდეგის წარწერით:

„ცდა მუდამ ბედის მენახვერე იყო, ხოლო ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ცდა ზოგჯერ მთელ ბედსაც უდრის ხოლმე“.

ნიანგი.

შეკითხვა მეორე:

პასუხისმგებლობა თუ სიგიჟე?

მოუსვენარი.

ნიანგის პასუხი:

თქვენც, სუ! ჩვენც, სუ!

ნიანგი.

შეკითხვა მესამე და უკანასკნელი:

როგორ უნდა მოიქცეს ნიანგი—როდესაც ბორჯომის ხეობაში მისი ყურნალი არ მოდის, და ეს იმ დროს, როდესაც აქ მოაგარაკეთა რიცხვი 12 ათასს აღემატება.

მოუსვენარი.

ნიანგის პასუხი:

გამოიწერეთ სამაზრო ქალაქიდან ერთი ვირი. იქ ვირები ერთობ ბევრია. გაიყვანეთ აგარაკის შუა გულში და დააჯლოყინეთ. თუ რომელიმე მოაგარაკეს ღმერთი გაუწყურეს და ვირის ჯლოყინი შენიშნოს, გამოუწერეთ აღმასკომის ხარჯზე ჩვენი ყურნალი. ხოლო მოსალოდნელია, რომ იმ 12 ათას მოაგარაკეთა შორის ერთიც კი არ აღმოჩნდეს ისეთი, რომელსაც თუნდაც აი ვირის ჯლოყინი ესმოდეს, მაშინ მათთვის ჩვენი ყურნალიც აღარაა საჭირო.

ნიანგი.




ა. ქუთათილაძე.

მთის ძირს ისე ღრმით დავერქვე,
რომ ყველანი დავაეჭვე:
დავრჩი ცოცხლად, თუ ვარ მკვდარი,
რადგან ირგვლივ ვით სუდარი,
მომდებოდა მთის ტალახი...
დიდარს ღმერთი და ალლახი,
რომ შემოსა ამ ჯავშანით,
თორემ ქვებზე გვერდის ფხანით

მე ძვლებს ისე გავიხებდი,
რომ თავ-პირს სულ გავიტებდი,
ვიტყეოდი მთლად კატლეტად...
სხვა რაღა ვსთქვა ამის მეტად:
რომ გადავრჩი, მაღლი ალლახს!
ჯერ-მთას გზას და კვლავ-მის ტალახს!!

ონისიმე.



ცეცხლის ჩასაქრობათ.

ბრანდმეისტერი—მეეტლეს: გასწი შე სათოკვე, თორემ დავგვიანდები.
მეეტლე: „ჩემის აზრით სიჩქარეს აზრიც აღარ აქვს: ცეცხლი უკვე ჩაუქრიათ“.



საპასუხოდ წერილი სოლომონ ზურბიელიძეს.

სოლომონ, შენგან წერილი მივიღეთ მხოლოდ მეათე.
 ნუ ფიქრობ, რომ დაგივიწყეთ, პატივს გცემთ, როგორც ძველათვე.
 ჩვენგან დუმილის მიზეზი ადვილად გასაგებია,
 რადგან სხვა წერილთ წაკითხვა ჩვენ წილად არა გვრგებია.
 ძველთაგან არის ნათქვამი: კარგია ბედი მეფისა,
 ყოველგვარ უბედურებას, თუ თვითონ არა ეტრფისა,
 და მსგავსად ამა თქმულების, ეს მოუვიდათ ჩვენს ნოებს,
 სამი წლით საქართველოსი მეფეებს უგვირგვინოებს.
 ბევრს პირდებოდათ ანტანტა.—დე იყოს იგი კრულია,—
 ვინც იმას უმეგობრდება, ის უკვე დაკარგულია.
 გგონია მისგან გზა შენი ია-ვარდებით რგულია.
 არა იქმს კარგსა საქმესა შავი, ბოროტი გულია.
 იყო თებერვლის დღეები, სუსხიანი და მკაცრია.
 ანტანტამ ჩვეულებრივად შვილობილთ ზურგი აქცია.
 სად იყო ჯარი მაშველი, ძალები შენაპირები,
 და სტამბოლისკენ ილტვოდენ „ნოები“ ანატირები.
 წავიდენ და თან წაიღეს, ერის ქონება, სიმდიდრე.
 სთქვამს: „ამას ველარ იხილათ, აქ არ ჩამოვალთ ჩვენ ვიდრე!“
 ასე შეეცრაღ მოშორდა სამშობლოს იგი ხალხია.
 მას შემდეგ თბილისს ისინი თვალითაც არ უნახია.
 მხოლოდ მოისმის შორიდან მათი ქადილი და ლანძღვა.
 ნუთუ ამდენი გინებით მათი გუნება ვერ გაძდა?
 მიჭრიან თვენი, წლები, ზღვის პირს ელიან ამინდსა
 და მათ სმშველად მოვლენილს ზეციდან ვინმე რაინდსა.
 მაგრამ ვანებოთ მათ თავი, იყონ თავისთვის მარტონი.
 ვიცი, იკითხავ, ვინ არის დღეს საქართველოს პატრონი?
 იგია საბჭოთ მთავრობა, ახალი, ტკბილი ხილია.
 მდიდრისთვის მისი სახელი არ არის გასამხელია.
 ხუცებს ხომ მისი ხსენება ცოფსა გვრის პირზე ბრაზიდან.
 მიწაში ჩაფლეს-სიმდიდრე, მთავრობამ რაც ვერ ვაზიდა.
 იტყოდენ: განძეულობა, ეს ჩვენი ნაოფლარია,
 იმას არ მივცემთ, ვინც ჩვენი ტკბილი ცხოვრება არია.
 მოაკლდათ მოვლა, პატივი, საკურთხი, საპანაშვიდო.
 ტყუილად გაიძახიან, მოგვეკითხებათ **ცაშიდო**.
 დღეს სოროებში ტირიან წარსულის მძლავრი ლომები.
 ღმერთებს უსვრიან ზარბაზნებს უშიშრად კომსომოლები.
 საბჭოთა რესპუბლიკების ერთობ მძლავრია კავშირი.
 საქმაოდ მოგვეპოება: პური, ნავთი და ნახშირი.
 წყრომით გვიყურებს ანტანტა, ახსოვს ვალები ძველია.
 თუ მეზობელი ყმად გინდა, იქ მორიგება ძნელია.
 გზავნის და გზავნის კერზონი მუქარით სავსე ნოტებსა.
 კაცი ჩვეული ცუდ საქმეს ძნელად თუ **მიატოვებსა**.
 ყველა მშვიდობას ქადაგებს. ყოველ დღე კონფერენცია.
 სანატრელ ზავზე ვის არ აქვს დამზადებული ლექცია.
 მაგრამ მაღალი სიტყვები სიმართლე ნურვის გონია.
 სხვა არის მეზავების საქმენი საგმირონია.
 სახრავი ნახო, უარპყო, კანონი სადაურია,
 და ჩამოვლიჯეს გერმანეთს ფრანგებმა მთელი რურია.
 ამ წინეებზე ინგლისში, პალატა როს წყალს ნაყავდა,
 კინალამ სოციალიზმის ხელისუფლება დამყარდა.
 საკითხის გარდასაწყვეტად იმსჯელეს, ერთს დღეს მოუნდენ,
 ბოლოს სიცილით უკანვე მიაართვეს მისტერ სნოუდენს.
 ვინ ჩამოთვალოს ამბები, მომხდარი სააქაოში.
 კვლავ ბალკანეთზე მზადდება ჩვეულებრივი ქაოსი.
 აქ გაფიქრდება... წერილი გასცილდა ყოველ ნორმებსა,
 ამიტომ ერთად ამასთან ვგზავნი „ნიანგის“ ნომრებსა.
 იქ წაიკითხავ ყველაფერს, გაიგებ ბევრ სხვას ახალსა.
 ნიანგის თვალი და ყური რას არ გაიგებს, ნახავსა?
 თუ კი რამ დიდი ამბავი მოხდება დედა-მიწაზე,
 აქედან განსაკუთრებულს წერილს მოგაწვდით იმ წამსვე...




შ ა რ ა დ ა.

მინდა ვახსენო ბოროტი
 შარადის დასაწყებათა,
 სამის ხმით გამოიხატვის
 და სამ ასოდგან წყებათა.
 მონახეთ ეგ სინონიმი,
 ბოროტს რომ ენაცვალება,
 და ფრთხილად დასვით სულ თავში,
 არა მსურს მისი წვალება.
 შემდეგ მინახეთ ცხოველი,
 ორფეხულთა გვარისა,
 ვერტიკალურად მოარე,
 მპყრობელი მთა და ბარისა.
 წარკვეთეთ ასო წინიდან,
 წინადაცვითის წესითა,
 ჩვენ დანარჩენი რომ გვინდა,
 ის ერთი გასქდეს კვნესითა...
 შეჰკონეთ! უცხო რამ სიტყვად
 ნახავთ შარადას სრულადა,
 თუ პირველ ქორონიკონსაც
 დაუდებთ დასასრულადა.
 ის კაცთა საქმეს გადმოგვცემს,
 ეხლახან მოდათ ქცეულსა,
 უმწერთ და შურით თან მისდევთ,
 ჰაერში ანაზღვეულსა!..
 ომი თუ ასტყდეს, გვერგება:
 თავზე დაგვაყრის ტყვიასა,
 არა და, შრომას წინ წასწევს:
 გვაჭმევს ქერსა და შვრიასა!..

ონისიმე.





რომ ფუფალასი
მიიღონ ხვევნი;—
შესჩვილონ კვენსით
ამ ქვეყნად „ღვენი“!

და გადაფრინდენ
იქ, კუნძულებზე.
ჯერ ბნელ-სინათლით
მონადეულებზე!..

რომ კვლავ ატარონ
შავი „შინელი“.
ატყუონ ზანგი,
ინდო, ჩინელი...

მაგრამ მათ საფრენს,
ჩიას, შავ-ფრთებს,
ვაჰ, თუ ბედითი
ბედიც თან ებას?!

და გამოუდგეს
„საბჭოთ არწივი“,
ჩაგრულ ერთ მცველი,
მტერთა ამკივი,

„ანაფორიჩი“
მან დასცეს დაბლა,
რომ შიშისაგან
მას დაჰკრას დაშლა!

ს. ერ—დელი.

გზრინაპი მღვდლები


„ინგლისურ გაზეთის ცნობით, კენტენბერიის ეპისკოპოსი იძენს ჰაეროვლანს სასულიერო საქმეებზე საფრენად.

ცნობილი ბიბლაურმა საზოგადოებამაც გადასწავიტა ესევე მოიქცეს, რათა გაიადვილოს ბიბლიის გადაზიდვა ჩინეთსა და ოკეანის კუნძულებზე“...

(გაზეთებიდან).

აქ ვერას გახდენ
მღვდლები ტყუილით;
დაძრწიან სადღაც,
მგლური ყმუილით!..

და გადასწავიტეს
აფრენა მალდა;
რომ აიცილონ
საფლავში ჩახლა!



დაპუაბი საბუთარ კორას- კოდანტაბისაჯან

ს. წყნეთიდან: კვირას, 29 ივლის საკავშირო ასეულის დრამ. წრემ წარმოადგინა ყაზბეგის სამმოქ. „კომედია“ არსენა ამხ. შარაშიძის მიერ იმერულათ გადმოკეთებული. პიესა მეტის მეტ მხიარულათ ჩატარდა და ხალხს მუტლები ასტკივდა სიცილისაგან. რეჟისორ შარაშიძეს მხარტვეს თხემლის ფურცელის გვირგვინი.

იქიდანვე: ადგილობრივ აღმსკომა მილიციასთან და სპეკულიანტებთან შეერთებულ სხდომაზედ დაადგინა გამოიწეროს ოსეთის ს. ს. რესპუბლიკიდან 5 ვაგონი ყანწები ლოთობის კომპანიის ჩასატარებლათ.

იქიდანვე. ამხ. ნიანგო! ს. წყნეთში ძლიერ ბევრია ბოროტი ენები და თქვენთვის ტყვილი მოუხსენებიათ თითქოს აღმასკომის თავმჯდომარე „ბაკური“ დღე და ღამ ქეიფობდეს და აღმასკომის კარები გამოკეტილი იყვეს. ერთი, რომ „ბაკური“ ქეიფობს არა ყოველდღე, არამედ კვირაში 9

დღე და ისიც საღამოს 5 საათიდან დილის 5 საათამდე. აღმასკომის კარები თუ გამოკეტილია, ეს ხომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გარეთ არის, ვინაიდან 5 საათამდე ნაქეიფარს, ნუ თუ ძილი არ უნდა?

გო—ცი.

გორიდან.

რადიო სასაფლაოდან.
თბილისის ქუჩა ისეთივე განათებულია ქ. გორში რომ 1 აგვისტოს მხოლოდ ორმა კაცმა მოიტეხა ფეხი.



დათვის ტყაოსანი.

(პოემა საგიჟეთის ცხოვრებიდან).

შრომარეთის წინანდელი მეფე.

ძველთა ძველი სამეფოა, ეს სამეფო შრომარეთის, არვის ახსოვს, როდის იყო ის ნაშენი, ან ნაკვეთი, დღეს მას საზღვრავს ანტანტეთი, ჩვენებურათ საგიჟეთი, ოსმალეთი და ჩინეთი, თეთრი ზღვა და ყინვარეთი.

ერთ დროს იმას განაგებდა ძმა მეფისა საგიჟეთის, სისხლის ზღვაში მოცურავე სახელითა ქრისტე ღმერთის, ტყავს აძრობდა საქეიფოდ ხალსა იმა შრომარეთის, ახარებდა სისხლისა ტბა, როს მდინარეს ცრემლიც ერთვის.

და იმ მეფეს, ჭკუა ხებრეს, ეძახდენ მეორე ნიკოს ფუ, გულს მირევს ეს სახელი, აწ ჩვენთვის ის წყეულ იყოს, თუ ჩვენს დროში კიდევ ვინმეს ქონდეს ნატვრა ის იხილოს, ჩეკარეთის გზით წავიდეს, საიქიოს ჩაიკვილოს.

მეფე ნიკოს გარს ეხვია მინისტრების მთელი ხროვა, ვინ უარყოს მინისტრობა, თუ ღუშაში თავად მოვა, მინისტრს არგებს ტკბილი ყოფნა, ვით ზამთარში ველს დათოვა, ტკბილი ყოფნა საგიჟეთში სულელმაც კი ვერ დასტოვა.

მიტომ მადა მინისტრებსა დიდი აქეთო, ნათქვამია, და მიტომაც, როგორც მითხრეს, ყვარებათ მათ ქრთამია, სადილათ უნდა მიირთვან ჩახოხბილი ქათამია, ან შემწვარი ინდოური და სხვა კიდევ საამია.

ტკბილ ცხოვრებას ბევრი უნდა ხარჯები და გასავალი ჯიბე სქელი იქონიე, თუ არ გინდა გქონდეს ვალი ვალისა არ გადამხდიელს (ვაი მისი ცოდვის ბრალი) არ შერჩება ტანზე ტყავი, არც ხორცი და არცა ძვალი.

მეფე ნიკოს და მინისტრებს არ ყოუნდა ხალხის ტყავი, ბევრი ყავდათ ამ საქმისთვის სტრაჟნიკები და პრისტავი, და ჩავარდენ საგონებელს, რომ არ ეყოთ მათ სახრავი და რომ კიდევ რამ ეზოვათ, მოიგონეს საქმე ავი.

ომს უმართავს საგიჟეთი, ვითომ მეფეს შრომარეთის, ვინ შებედოს გიჟთა მეფეს, სწორი არის მაღალ ღმერთის, თუ არა და მეფე ნიკომ, ვით მსურველმა დიდ სიკეთის, შრომარეთში ხომ ის არის მეფე ნიკო ერთად-ერთი.

გადარეული.

ლი დრო მაქ, ამიტომ შემძლია ეხლა მოგწერო აქაური რამე-რუმე. ადგილობრივ გაზეთშიდაც ვაგზავნი წერილებს, მაგრამ სარედაქციო კალათა უკვე გვივსო და რედაქციას შემოსავალი ისე ცოტა აქვს, რომ მუშის ფულიც არ გააჩნია კალათას გადასახიდავი. თბილისშიდაც ვაგზავნიდი წერილებს, მარა დაბეჭდილი არცერთი არ მიწახავს—ალბათ მისამართები არ იყოსწორი. მე შენ არ მიცნობ, მარა როცა გამიცნობ, არ ინანებ. წინეთ ლექსებსაც კი ვთხზავდი, მარა ფუტუროელებმა რომ დეიწყეს წერა, მას მერე ისე შემძულდა, რომ ხანდახან ქალებს თუ მივწერავ რამეს, თვარა დასაბეჭდათ აღარაფელს ვთხზავ. მაგიერში სათეატრო ასპარეზზე გამოვიჩინე დიდი ნიჭი და ამასწინათ საბჭოთა მოსამსახურეების კლუბში აღტაცებაში მოვიყვანე დამსწრე საზოგადოება, რომელიც სამწუხაროთ ძრიელ ცოტა იყო.

პ. ობოლი.

იქიდანვე. ამას წინათ აქ თფილისიდან ზომიანედ მეტი შემინებული ჩამოვიდა ერთი ამხანაგი, რომელსაც გაეგო რომ თბილისში „ლიანგი“ გამოვიდაო.

ამ ამბვის გაგებაზე ყველას რალაც სახე შეეცვალა. უკვე პირველი საათი დაწყებული იყო და სახლში ცოლშვილთან მისატა-

იქიდანვე: ვინაიდან განათლების განყოფილების ეტიკეტი დაბნელებულია, ამიტომ შუამდგომლობა აღძრა განათლების განყოფილებამ, სადაც ჯერ იყო, რათა ელექტრონის სადგური გადავიდეს მის განკარგულებაში, რომ იმ გზით მიინც განათლონ. ამბობენ, ნარკომპროსი არც ამაზეა თანახმაო.

კულა მელა

ქიათურა.

საბინაო საკითხის სიმწვავის გამო, ქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა საჩქაროთ ააშენოს თოთხმეტ სართულიანი შენობები ამერიკულ ყაიდაზე. არჩეულია კომისია, რომელმაც ეს გადაწყვეტილება სამი თვის განმავლობაში უნდა მოიყვანოს სისრულეში. გადადებულია 000,000 მილიონი ბაჯაღლო ოქროს მანეთები.

იქიდანვე.

გამოირკვა, რომ ოღრო-ჩოდრო ბნელ ქუჩებში გამეღული თუ წეიბორძიკებს და ცხვირს ქვაზე დახეთქავს (თუნდა შავქვაზე), მას თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცივია, რითაც განათდება მისწინ ყველაფერი, ამიტომ ზედმეტათ არის ცნობილი ქუჩების ელექტრონით განათება.

იქიდანვე და კიდევ ზესტაფონიდან.

დაიკარგა სამაზრო ცენტრი. მპოვნელს ზესტაფონი მისცემს საჩუქრათ ამხ. „იმერეთის“ ლენინის საწყობს, ქიათურა კი გილზენკირხენის საზოგადოების პიროქსიტით სავსე პლატფორმებს, რომლებსაც ამ სამი წლის განმავლობაში არც მოკლებია და არც მომატებია რამე.

საკ. კორესპ. გარიყული

პირისპირადანიავი.

ქ. ბათუმი. ეს ერთი თვეა, რაც შენი ამ ქვეყნათ გამოჩენა გავიგე, ამხანაგო ნიანგო. მინდოდა მომეწერა წერილი, მარა სანამ დიდ ადგილზე ვიყავი—მუდამ იმის დარდი მქონდა, შემოკლებაში მოვყვები თუ არა მეთქი. როგორც იქნა ამ დარდს გადავრჩი, რადგან შტატს ვარემე დავრჩი, მარა მერე შრომის ბირჟაში ისე გავერთე, რომ კინალამ ოჯახი დამავიწყდა. ვის გინდა აქ რომ არ შეხედვ: მიკიტანი, ყასაბი, მეძხვვე, მებანქოე და სხვა ჯურის ხალხი. ყველა ისინი აქ ჩემი დიდი მეგობრები არიან, თუმცა მათი ღუქნის წინ რომ ჩავიარ—ვერცერთი გელარ მცნობს. მეც მათთან კაი განწყობილებაში ვარ, რადგან ვიცი, რომ არცერთი ადგილში არ შემეცილება. ივენს მხოლოდ ბეგარის თავიდან ასაშორებლათ ესაჭიროებათ შრომის ბირჟის წიგნაკი და მეტათ არაფლათ.

როგორც იქნა მივიღე მეც ეს წიგნაკი და აწი თავისუფალი ვარ,—თვეში ერთხელ უნდა მივიღე მხოლოდ შრომის ბირჟაში იმის შესამოწმებლათ, რომ ჯერ კიდევ უადგილოთ ვარ. რალაი ბევრი თავისუფა-



ო. შლინაი

ამერიკული კომიტეტი.

კომიტეტი გვსმენია ღარიბების ნუგეზად, აქ კი... ვაი, გვრცხვენია, რომ ვახსენოთ უხეზად!

მდიდრები ილღიებით, შეხეთ, ეზიდებიან, ღარიბებს კი ის რჩებათ, რომ რიგებში რჩებიან!..

პაწირა.

ნი პურის ფული უნდა მოგვენახა, აქ არ შეუდგები იმის გაშუქებას, თუ რა დღე მე დამადგა, ვინაიდან ფულის სესხებაში უკვე ერთი იმორტენა ფასიც მოემატებიათ ვაჭრებს ბაზარზე პურისთვის, როგორც შემდეგ გამოირკვა, ღირების გაჭირებას გამოეწვია ეს. ამ დღეს მე არსად წავსულვარ, ვინაიდან არც არაფერი საქმე მქონდა და სულ ვფიქრობდი თბილისში „ლიანგი“ს გამოსვლაზე. მომაგონდა ბათუმის მახლობელი აგარაკები: „თამარა“, „მახინჯაური“, „მწვანე კონცხი“ და სხვები, სადაც ყოველ დღიურად ბათუმის „ლიანგი“ მოეჭანება. შინებს რომ დავეთხოვოთ, ბენზინი გავეინადგურეს, რის მიზეზით ნავთის ფასმა ძალზედ აიწია. მომაგონდა გასული წლის მოსასვენებელი სახლის „ლიანგი“ „მწვანე კონცხში“, მაგრამ ვიფიქრე, რომ საბჭოთა ხელის უფლებას ყოველივესთან შეუძლია ბრძოლა, და თბილისში გამოსულ „ლიანგ-საც“ შთანთქავს მეთქი და ცოტა დავმშვიდდი.

განვლო რამოდენიმე დღემ და სადგურში წავაწყდი ჟურნალ „ნიანგ-ს“ როდესაც სათაური წავიკითხე, მაშინ მომაგონდა ჩვენი შეშინებული ამხანაგის ჩამოტანილი ამბავი, ის ალბათ „ნიანგმა“ შეაშინა.

ეხლა რადგან ყოველივეში გამოვერკვიეთ და საქმე გვექონია „ნიანგთან“. და არა „ლიანგთან“, ამიტომ პირველად მინდა შევეკითხოთ: ამხ. „ნიანგო“, რამდენი წევრი ხართ პრეზიდენტში, ამას ბათუმის საჭიროება მოითხოვს, ასეთი შეკითხვები იქნება ალბათ სხვა ადგილებიდანაც.

შემდეგ ამხ. „ნიანგო“ დიდ ბოდიშს ვიხთი გიბედავთ და აქედან გაძლევთ რჩევას,

მაგრამ ამას ადგილობრივი საჭიროება თხოვლობს, თქვენ რასაკვირველია გეცოდინებათ, რომ აუარებელი მოხსენებები და მოთხოვნები მოდის ცენტრში. კარგი იქნება, თუ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზედ აღმოუჩენთ დახმარებას, მხოლოდ რაც შეეხება მოხსენებებს—ნუ მიიღებთ ცნობათ, არამედ გამოაყოფეთ „ნიანგის“ რწმუნებული ადგილობრივ გამოსარკვევათ, თორემ მუშგლეხინი ყოველივეს ვერ გასწვდება. „აქტებს“ მსვლელობა უნდა. ამასთანავე აჭარისტანის სოფროფში ძლიერ სასაჭიროა პროფესიონალური მომუშავენი, ყველა რჯულ ენების მცოდნენი, ვინაიდან აქ ბევრი საზღვარ-გარეთელი ფირმებია და მათ ადგილობრივი ენა არ გაეგებათ.

ბათუმში მუშათა არტელები სოკოსავით გამრავლდნ და საჭიროა ერთი სალიკვიდაციო ბიუროს დაარსება, ქალაქის არტელის თავმჯდომარის, მიხაილოვის მეთაურობით, თორემ საგრძობელი ქონება შეიძინა სანაპირო არტელმა. თუმცა მიხაილოვი ახლა არ არის კომუნისტი, მაგრამ შესაძლოა ოდესმე იქნეს, ქეც დააარსა მან აღნიშნული არტელი და ქეც უვლის. ლეინი კი მეკურტენტა სექციის დაარსებაზედ ოცნებობს.

ნათლი მამობას აქეთ ადგილი არა აქვს. შესაძლოა მილიციაში შეხვდეთ ბიძაშვილს, სიძეს, ცოლის ძმას, მეზობლებს და სხვებს, მაგრამ ეს ხომ ნათლიმამობა არ არის—ნათესაობაა. ვინაიდან ვერ გავიგეთ ვინ არის ამხ. მარკანის ნათლი-მამა, ამიტომ კომუნისტის საფაქრო „გუმის“ საქმე გამოურკვევლად რჩება. იქიდან ყოველა საქონლის გამოტანა ნაწილობრივ გადახითთ

შეიძლება, მხოლოდ მუშებმა როცა გაივს ეს, შემდეგ აიკრძალა.

შრომის განყოფილებაში შესული კონფლიქტების მსვლელობით, მუშები კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ რადგან ეხლა სახალხო სასამართლოში ვადვიდა, დარწმუნებული არიან, რომ უფრო კარგი და სწრაფი მსვლელობა ექნება, შრომის განყოფილება კი უფრო კმაყოფილია, ვინაიდან ზედ-მეტე სამუშაო ბარგი მოშორდა.

იქსი.

სამტრედია. ის იყო ვეკუას საუძლომლო-საკენ უნდა მექუსლა კუჭის კატარის საექიმოდ, რომ სულთამხუთავსავით თავზე ერმალოხი წამომადგა. გინდა თუ არა უნდა წამოხვიდე და ტიტე სიხარულიძის ეზოში ცეკავშირის ფარდულები დავათვალიეროთ, გოგოები აბრეშუმის პარკს ხომ არ ცლაპავენო. იქ ყველაფერი რიგზე დავგვხვდა. ჩემი ყურადღება ტიტეს ბაღმა მიიპყრო. იქ ჩვენი მასწავლებლების უპარტიო ჯგუფი უვადო შევბულებაში მყოფ ნინუცას მეთაურობით გაცხარებული კამათობდნ, თუ რომელი კარებით სჯობდა სოციალიზმის ქვეყანაში შესვლა.

მახლობლათ უზარმაზარ შენობის ფანჯრებში მოსჩანდა ტიტე, რომელიც „ჩვენ მეგობარს“ ათვალთვრებდა. გარშემო ხალხი ეხვია, რომლებიც სიბნელეში შავთ მოსჩანდნ. შენობას კი მხატვრული წარწერა „მუშათა სასახლე“ ამშვენებდა. აქედან ცეკავშირის კანტორაში დამზღვევი კასის პროცენტების მისაღებათ გავსწიეთ. ვალერი თოლხო კვერცხებს ხერგება და სიამოვნებით ღლინებდა. ჩვენ მისვლაზე ის შეკრთა, მაგიდების ყველა უჯრები გადაატრიალა, მაგრამ ხარჯთაღრიცხვა ვერ იპოვა,—მუსიკალურ სასწავლებელში გაპარულიყო. ვალერი იმას გამოუდგა უკან, ჩვენ კი უპროცენტოთ გამოვრუნდით. არშაკასთან შევიარეთ წყურვილის მოსაკლავათ. აქ პლატონმა ჭგავიძისპინძილა. მუსაიფში გამოირკვა, რომ ის უსაქმობის გამო მეტათ მოქანცულიყო. კლუბში ყოფილ მენშევიკების კრებაზე შევიარეთ. კრება გათავებული იყო. მუშები რალაც ქალაღდს ხელს აწერდნ. ვაჭრებს ერთ კუთხეში მოეყარა თავი.

თქვენ რას ფიქრობთ მოქალაქენო.—შეეკითხა მათ ტიმოთე.

—რას უნდა ვფიქრობდეთ,—მიუგო ნიქა ელიაშვილმა,—თუ მარტინოვი ოთხ წელიწადს ერკვეოდა, ჩვენც ვადა უნდა მოგვეკეთ ოთხიოდე დღე მაინც, რომ გამოვერკვეთ.

—შეგიძლიათ ათი წელიც ერკვიოთ, მაინც ვერ გამოვრკვევით,—დაცინვით სთქვა ვილატამ.

—როგორ, ესენიც ჩვენთან იყვნენ?—გაკვირვებით იკითხა ერთმა ყოფილმა მენშევიკმა მუშამ, გაჯავრებულმა გააფურთხა და გავიდა გარეთ.

კუჭის კატარი მოსვენებას არ მაძლევდა, დავაძვრინე თავი, ერმალოხს და ვეკუას საუძლომლოს მოვაშურე კუჭის დასაშოშინებლათ.



ტფილისის უზნიკულიორზე.

მგზავრი. გამიგონია, თუნიკულიორზე მალა-მალა ასწევნო. აქ კი აწე-
ვაც არის და დაწევაცა.

ახალ აზგავის გაზიარ

ძალღების კონფერენცია. ამღღებში დას-
რულდა თბიღისის ძალღების კონფერენ-
ცია, კონფერენციაზე თმემჯღმარეობდა
მურია ყურშავაძე.

ღღიურ წესრიგში იღდა მრავალ კით-
ხეგბთა შორის საკითხი ქალაქის აღმასკო-
მის პრეზიდუღმის უკანასკნელი დაღგენი-
ღება—ძალღების რამჭერთა შტატის რამ-
ტკიცება და ძალღებიღან ქალაქის ქუჩების
გაწმენდა. ამ საკითხის შესახებ მოხსენება
გააკეთა ქალაქის ძალღების კომიტეტის
თავმჯღმარემ ბაქურაძემ, რომელმაც დაა-
საბუთა პრეზიდუღმის სასტიკი ზომების მი-
ღება ძალღების მიმართ და წინადაღება
შემოიტანა საბჭოში განსაზღვრებისის შე-
სახებ.

ამ საკითხის შესახებ არჩეულ იქნა სპე-
ციალური კომისია ბაქურაძის, ყურშავაძის
და სხვა.

კომისიამ აღძრა შუამღგომღობა საღაც
ჯერ არს, რათა დაღგენიღება შეცვლიღღ
იქნას. იმ შემთხვევაში, თუ დაღგენიღება
ძალაში ღარჩება, მაშინ ძალღებისათვის
ქუჩების მაგიერ მოინახოს ქალაქში შესა-
ფერი ბინები... კომისიას იმეღი აქვს, რომ
შუამღგომღობა შეწყნარეღული იქნება. კო-
მისიის ერთი წევრის განცხადებით ძალღე-
ბისთვის შეიღღება რაცღღიღ იქმნას რამღე-
ნიმე სახღები სოღღოღაკში.

და თუ ეს ასეა, ხოღღ ამასთან ის კიღვე
საცოღდავ მასწავღღებღებსაც ათამაშებს, რო-
გორც თქვენ იწერებით, და „ნათამაშებით“
კი აძღღებს ვიღაც შამშეს, მაშინ კიღვე სხვა
საქმეა. პარტკომი, სამაზრო ისპოღკომი და
სხვა იქვეა.

ნიანგს უკვირს რა შვაში უნდა იყვღს აქ
კურსები ბახმაროზე იმავე სოღღის მასწავ-
ღებღლთათვის? ან პორტფელი, შღიაბა,
ოთხი კაბინეტი და სხ. ეს ისეთი წვრიღმა-
ნებია, რომელთა შესახებ ლაპარაკიც არა
ღირს. ჩვენ ისეთი ტიპიც კი ვაცით, რო-
მელსაც 5 პორტფელი, 15 შღიაბა, 4
ავტომობიღი, და 44 კაბინეტი აქვს,
მაგრამ რა? „კაცს რაც მეტი აქვს, ის
უკეთესია“-ო, იტყოღდა ხოღღმე სუღღმნათი
სოღღომონ ზურგიღღიღე. არ დაიბეჯღება.
გამოგზავნეთ სხვა რამე. აი თუნდაც იმ
აღღქსანღრღს „პოხოყღღენიღებზე“.

გორღი. გუგულს. მოგვაწოღღეთ უფ-
რო „საწიკაბურტო“ მასაღღები. ეხღა რომ
გვწერთ ეს ეპისტოღღეთაც კი გამოღღება,
თუ რა თქმა უნდა, სარწმუნოების საქმე
გამოკეთღა.

კახეთიღი. ანვიღს. ან ვინ უნდა გაი-
გოს? ჩვენ შორის საიღღმღოთ ღარჩღს,
ისეღ ის სჯოღბია.

ჭიათურაში, ვალიკო სუფსის პი-

რელს. ვსთქვათ, ამხ. ვანო და შამშე და-
ნაშაულს თქვენ გახვევღღენ თავზე კრიღღო-
ვის მეღღიღეთ, როგორც თქვენა სწერთ
და თავსა ჰგუღღისნობთ როგორც იმავე
კრიღღოვის, ისე მამა აბრაამის ბატკნად,
მაგრამ ნიანგი რა შვაშია. იქნებ გინდათ,
ბრალღებაში ისიც გახვიოთ? დააცაღღეთ
საკონტროღღო კომისიას.

ოზურბეთში. ყარყუმს.

„მამა ნუ
წაგიწყღება, ბაბუღი, ჩამოჯექი აგერ ქვაზე,
ზურღში გორიციი გაქვს მოკიღღული, გეტ-
ყობა პარკი გქონია ქალაქში გასასყიღათ
წაღღებუღღიო“, სწერთ თქვენს გურულ სცე-
ნაში. ნუ თუ ყვეღას, ვისაც ზურღში გო-
ღორი ჰკიღღია, პარკიც უნდა ჰქონღღეს. აი,
თქვენს სცენას ჩვენ ავკიღღეთ სარეღაქციო
გოღორი სწორეღ იმიტომ, რომ „პარკი“
არ აღმოაჩინდა. ჩვენი მოტყუება რა საკაღ-
რისია. არ დაიბეჯღება.

საჯავახო, ი. ძ-ძეს.

ჩვენი ჟურნალი
სახუმაროა და არა სამეღღოვიარო. ის ამ-
ბავი, რომელსაც თქვენ „პატარა სცენას“.
უწოღებთ,—ებრაეღღებზე გზაში თავღასნმა
და გაცარცვა და ისიც მიღღიციონერების
მიერ აღმასკომის თავმჯღღმარის ლოკვა-
კურთხევით,—მეტათ სამწუხარო, სავაღღა-
ღო და საჯავაყი საქმეა. ეს მასაღღა უფრო
საგანგებო კამისიას გამოაღღება, თუ შინა-
გან საქმეთა კამისარიატმა ვერ მოიხმარა ის.

დ. ქ-ძეს.

თქვენი „უნი და მუზა“ და-
იბეჯღებოღა მხოღღოთ იმ შემთხვევაში, თუ
რომ პავღღეს სხვა სახეღღით შესცვღღიღეთ,—
მაგალითად, სავღღეთი, რაღღგან პავღღეს ვერ
შევეგებით.

სამბრეღღიაში. საშა მაისეღს.


თქვენს
ნობათებში ნიანგმა სამისო მინცა და მა-
ინც ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. დაფუცაღღოთ
მომავალ მაისს.

ოზურბეთში. ფხუს.

„ვაი, ხაი, რა
ხახაი“, თქვენი ლექსი რა გღახაი, ღეპეშე-
ბიც არ გამოღღვა, ვერ გავიგეთ, რას სწმახაი.

ბახმარო. ვაროს.

ბახმაროს თუ მე-
სათე განაგებს, მით უკეთესი: ნისღღიან
ღღღებში ღრო მინც სწორად ეცოღღინება
მოავარაკეღღებს.



ნიანგის ფოსტა.

ოზურბეთში. კუ-კუ-ს. თქვენ იწე-
რებით ვიღაც მაროსა და აღღქსანღრღეზე
ისე კი, რომ ნიანგმა ვერამც და ვერამც
ვერ გაარჩია, რომელია მათ შორის კაროყ-
ნა. ჰეიჭრობს, რომ უნდა იყვღს პირვეღი.



ორ თავიანი იანუსი (ანბანბა).

მარჯვნივ — ბურჟუაზიას: იუჩეთ, ისმინეთ, შვილებო!...

მარცხნივ — მუშებს: იკრუნხეთ, ითმინეთ, გერებო!!!



გამოცემა პარტიულ და საბჭოთა პრესის კანტორისა.

პასუხის მგებელი რედაქტორი ს. თოდრია.